პროექტი

საქართველოს კანონი

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N20 (27), 1999 წელი, მუხ. 101) შეტანილ იქნას ცვლილება და დამატება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11^1 მუხლი:

"მუხლი 11^1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემოწმება და გარე აუდიტი საქართველოს კონტროლის პალატის მიერ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერების, მიზნობრივობის, ეფექტიანობისა და შესაბამისობის შემოწმებას და გარე აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა, "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი